# საქართველოს პრემიერ-მინისტრის
# ბრძანება

N 487 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

**„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის №480 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის №480 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

**მარიამ დარბაიძე** – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე – საბჭოს თავმჯდომარე;

**თინათინ ბოჭორიშვილი** – შპს „სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის“ რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ნინო ხოლუაშვილი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;

**რიმა ბერიაშვილი** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

**ლევან იმნაიშვილი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

**აკაკი ხელაძე** – შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი;

**ქეთევან ცხადაძე** – შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი;

**ქეთევან კოტეტიშვილი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;

**რამაზ საყვარელიძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

**მარინა გედევანიშვილი** – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოციირებული პროფესორი;

**დალი კანდელაკი** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;

**კონსტანტინე სირბილაძე** – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**გიორგი გვალია** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი;

**თამარ იოსელიანი** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;

**გიორგი აბრამიშვილი** – ა(ა)იპ – საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

**ირაკლი ხვთისიაშვილი** – ა(ა)იპ – ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;

**პაატა შურღაია** – შპს „გრანთ თორნთონის“ ბიზნესპროცესების გადაწყვეტილების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.“.

**მამუკა ბახტაძე**